

Nino Mindiashvili

ნინო მინდიაშვილი

Caucasus International University

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

Literary Reflections of Georgian-Ossetian Relations

ქართულ-ოსური ურთიერთობების ლიტერატურული რეფლექსიები

The literary narrative of Georgian and Ossetian authors (Giorgi Sosiashvili, Zeinab Metreveli, Shota Darbuashvili, Vano Chkhikvadze, Zinaida Bitarova, Giorgi Sanakoev, Tamerlan Tadaev, Tengiz Doguzov...) allows us to draw interesting conclusions. It can be claimed that the above-mentioned events were almost perfectly reflected in the creative texts by Georgian and Ossetian authors, but with different positional approaches.

Based on the studied material, it can be said that the creative approaches of Georgian and Ossetian authors are, in many cases, different. Most of the Georgian authors express a conciliatory position, while the Ossetian authors express a relatively rigid and uncompromising position.

Keywords: Georgian literature, Ossetian literature, Conflict, Reflection

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, ოსური ლიტერატურა, კონფლიქტი, რეფლექსია

XX საუკუნის ბოლო ათწლეული ბევრი სიახლით ხასიათდება, საბჭოთა კავშირის დაშლამ საქართველო სულ სხვა რეალობაში აღმოაჩინა, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალურ თუ კულტურულ კონტექსტში. რუსეთის მიერ ინსპირირებულმა კონფლიქტებმა კიდევ უფრო გაამწვავა ახლადფეხადგმული სახელმწიფოს მდგომარეობა, გასაკუთრებით საქართველოს ტერიტორიების 20 %-ის ოკუპაციის შედეგად.

ქართულ-ოსური ურთიერთობები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და იხვეწებოდა, რაც, ბუნებრივია, კულტურულ პროცესებშიც ისახებოდა და ორი ერის თანაცხოვრებაში პოზიტიურ როლს ასრულებდა. ნაციონალური სტერეოტიპები სხვადასხვა დროსა და სივრცეში განსხვავებულად წარმოჩინდებოდა და ეპოქის შესაბამისად იქმნებოდა, რაც განპირობებული იყო პოლიტიკურ-სოციალური ფონითა თუ სახელმწიფოებრივი მიდგომებით. ქართულ-ოსურმა და ქართულ-ავხაზურმა კონფლიქტებმა მენტალურ კატასტროფამდე მიიყვანა საზოგადოება, ერთი მხრივ, ურთულესი პოლიტიკური მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა მხარეს დარჩენილი ათასობით ადამიანი, ნიჰილისტურ ამინდსა და საფუძველს ქმნიდა, რომ ლიტერატურა სრულიად ახალი თემებითა და მხატვრული სახეებით დატვირთულიყო. ოსი ქართველებისთვის და ქართველი ოსებისთვის ნაციონალური ტრავმის რეპრეზენტაციის განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბდა, ამდენად, როგორც ქართულ, ასევე, ოსურ ლიტერატურაში მსუყედ არის წარმოდგენული ქართულ-ოსური ურთიერთობების ლიტერატურული რეფლექსიები.

ქართველი და ოსი ავტორების (გიორგი სოსიაშვილი, ზეინაზ მეტრეველი, შოთა დარბუაშვილი, ვანო ჩხიკვაძე, ზინაიდა ბიტაროვა, გიორგი სანაკოევი, ტამერლან ტადტაევი, თენგიზ დოგუზოვი...) შემოქმედებითი ნარატივი საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული მოვლენები სხვადასხვა პოზიციური მიდგომით თითქმის სრულყოფილად აისახა ქართველი და ოსი ავტორების მხატვრულ ტექსტებში.

შესწავლილი მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, ქართველი და ოსი ავტორების შემოქმედებითი მიდგომები, ხშირ შემთხვევაში, განსხვავებულია, ქათველი ავტორების უმეტესობა შემრიგებლურ, ხოლო ოსი ავტორები, შედარებით ხისტ და უკომპრომისო პოზიციას გამოხატავენ.

ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში ყოველთვის აქტუალურ საკითხად განიხილებოდა ეროვნული პრობლემატიკა, რაც ერთი მხრივ, ნაციონალური მარკერების ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, ხოლო მეორე მხრივ, იმაგოლოგიური ნიშნითაც იყო საინტერესო. ნაციონალური სტერეოტიპები სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულად წარმოჩინდებოდა და ეპოქის შესაბამისად ყალიბდებოდა, რაც განპირობებული იყო პოლიტიკურ-სოციალური ფონითა თუ სახელმწიფოებრივი მიდგომებით.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა სრულიად ახალი გარემო შექმნა როგორც სოციალური, ასევე კულტურული თვალსაზრისით. საბჭოთა კავშირის დაშლამ სულ სხვა სადინარი მისცა ლიტერატურულ პროცესს, რაც არამხოლოდ თემატურ, არამედ იდეოლოგიურ და მსოფლმხედველობით თავისებურებებშიც გამოიხატებოდა. პოსტსაბჭოთა საქართველოში ნელ-ნელა დაიწყო საბჭოური პარადიგმების გადაფასების პროცესი.

ქართულ-ოსურმა და ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტებმა მენტალურ კატასტროფამდე მიიყვანა საზოგადოება, ერთი მხრივ, ურთულესი პოლიტიკური ფონი, ხოლო, მეორე მხრივ, უსახლკაროდ დარჩენილი ათასობით ადამიანი, ნიჰილისტურ ამინდსა და საფუძველს ქმნიდა, რომ ლიტერატურა სრულიად ახალი თემებითა და მხატვრული სახეებით დატვირთულიყო.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში დენილთა ლიტერატურა (დევენილების შესახებ ლიტერატურა) უნდა განვიხილოთ პოსტკოლონიური თეორიის კონტექსტში, რადგან „პოსტკოლონიალიზმის თეორია იძლევა საშუალებას, გაანალიზდეს კოლონიზატორი/დომინანტი მხარის ბატონობის და კოლონიზებული მხარის დაქვემდებარების/რეზისტენტობის მექანიზმები. „ამ შემთხვევაში, დომინანტისა და დაქვემდებარებულის ურთიერთობები მიმდინარეობს არა მხოლოდ პოლიტიკურ ან სამხედრო სივრცეში, არამედ კულტურის, იდეოლოგიის, დისკურსების დონეზე“ (სვანიძე, 2017, გვ. 15). ჰეგემონური და დაქვემდებარებული ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტს განიხილავს პოსტკოლონიზმის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ედუარდ საიდი, რომელიც აღნიშნავს, რომ „კულტურული იმპერიალიზმი“ გულისხმობს მრავალწახნაგოვან დათრგუნვას, რაც დომინანტ კულტურას საშუალებას აძლევს შეითვისოს არაორგანული კულტურების ყველა გამოვლინება (Said, 1994, p. 35). დასავლური კულტურის აღმოსავლურ კულტურაზე დომინანცია (Said, 1994) ქმნის ერთგვარ თეორიულ ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია განვიხილოთ კოლონიზატორისა (რუსეთი) და კოლონიზებული (საქართველო) პოსტსაბჭოთა კულტურული/ლიტერატურული პროცესი, რომელიც სხვა კატეგორიებთან ერთად, ფსიქოლოგიურ კონცეპტებსაც გულისხმობს, განსაკუთრებით დაქვემდებარებული კულტურების კონტექსტში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პოსტკოლონიალიზმის თეორეტიკოსის ჰომი ბაბას შეხედულება, რომელსაც მიაჩნია, რომ კოლონიური სუბიექტის განსხვავებულობის უარყოფა ფსიქოლოგიურად დამანგრეველ პროცესს უქმნის საფუძველს, რაც, ხშირ შემთხვევაში, ხელს უწყობს კოლონიზაციის კონტექსტში შექმნილი სტერეოტიპების გაყალბებას (Bhabha, 1994).

1990-იანი წლების ისტორიული ნარატივი გვიჩვენებს, რომ „საქმე ეხება რუსეთ-საქართველოს პოსტსაბჭოთა კონფლიქტს. იგი არაა მხოლოდ „ქართველ, აფხაზ და ოს ნაციონალისტებს“ შორის წინააღმდეგობის შედეგი, არამედ რუსეთ-საქართველოს ორსაუკუნოვანი დაპირისპირების

ნაყოფია“ (სვანიძე 2017). აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ თანამედროვე ქართულ მხატვრულ ტექსტებში ერთ-ერთ მთავარ ადგილს ომის თემატიკა იკავებს, რაც, პოსტკოლონიალური ლიტერატურული სივრცის გათვალისწინებით, სრულიად ბუნებრივია. ქართულ-ოსურმა თუ ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტებმა ნიჰილისტური დამოკიდებულება ქართველი ავტორების შემოქმედებით მიდგომებშიც გამოკვეთა, ხოლო საკუთარ სამშობლოში ათასობით ადამიანის დევნილობამ ქართული ლიტერატურა ახალი მხატვრული სახე-სიმბოლოებით დატვირთა. სწორედ აღნიშნული მოვლენების ანარეკლად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ქართულ ლიტერატურაში ნელნელა ყალიბდება დევნილის მხატვრული სახე, რაც პოსტკოლონიალური თეორიის მიხედვით, ეროვნული იდენტობის დამცველ ან გამომხატველ პოსტკოლონიალურ სუბიექტებზე კოლონიზატორის აგრესიული ქმედებების განსაკუთრებით მძაფრ რეფლექსიაში ვლინდება (Said, 1994, p. 56).

ნაციონალური ტრავმის რეპრეზენტაცია, არაცნობიერად, მიზნად ისახავს ტრავმატული მდგომარეობის გახანგრძლივებას, რომლითაც სუბალტერნი უკეთ აცნობიერებს კოლონიალური ძალაუფლების შედეგს და იძულებულია შეეცადოს მის ხელთ არსებული ყველანაირი რესურსით (მედია პროპაგანდა, საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებით, ლტერატურული ტექსტებით) უგულვებელყოს ძალადობა.

ოსი, (აფხაზთან ერთად) ქართული ნაციონალური ტრავმის რეპრეზენტაციის განუყოფელი ნაწილია, რომელიც, ცნობიერად, თუ არაცნობიერად დაპირისპირებულ ბანაკში აღმოჩნდა და ქართველს დაუპირისპირდა, საინტერესო და შეიძლება ითქვას, არაორდინალურია, ოსის, იმაგოლოგიური პორტრეტი ომის, იგივე დევნილთა ლიტერატურაში, ტექსტებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის რეპრეზენტაცია არაერთგვაროვნად აისახა ლიტერატურაში, რაც შეეხება, ჩვენი კვლევის საგანს, ოსის მხატვრულ სახეს, ძირითად შემთხვევაში, ქართველი ავტორები შემრიგებლური პოზიციით გამოირჩევიან, და ქვეყანაში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზად რუსულ პოლიტიკას მიიჩნევენ, ამდენად, რუსის იმაგოლოგიური პორტრეტი, ძირითად შემთხვევაში, მტერთან ასოცირდება, სწორედ ის არის ყოველგვარი ტრაგედიის სათავე, დანგრეული სახლები, მიწასთან გასწორებული სოფლები, დევნილი ადამიანები, ტრავმირებული თაობა რუსული პოლიტიკის შედეგია, ოსები კი, ქართველებთან ერთად, ამ პოლიტიკის შედეგებს იძვიან, აღნიშნულ კონტექსტში საინტერესოა გიორგი სოსიაშვილის, გურამ მეგრელიშვილისა, ზეინაბ მეტრეველის, ვანო ჩხიკვაძის, შოთა დარბუაშვილის, მზია ხეთაგურის, ზინაიდა ბიტაროვას, ტამერლან ტადტაევის, ლიზა ტასოევას, ალექსანდრე ჩეხოვის და სხვა ავტორთა მხატვრული ტექსტები... და სხვა ავტორთა მხატვრული ტექსტები...

ასევე, საინტერესოა, 2018 წელს მზია ხეთაგურის რედაქტორობით დაბეჭდილი კრებული „ალილია“, კრებულის მიზანი ნათლად არის გაცხადებული წინათქმაში: „წინამდებარე წიგნი ერთადერთ მიზანს ემსახურება – გამოხატოს სამშობლოს დანაწევრებით გამოწვეული ტკივილი და, მწარე რეალობის მიუხედავად, ქრისტიანული ურთიერთმიტევებით გადადგას ნაბიჯი შერიგებისკენ“ (ხეთაგური, 2018, გვ. 3).

ნაციონალური ტრავმის რეპრეზენტაცია ცხინვალიდან დევნილი, ოსი ეროვნების პოეტის, მზია ხეთაგურის შემოქმედება, რომლისთვისაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხთან ასოცირდება მშობლიური ადგილების დათმობა, აცნობიერებს რა ავტორი ომის შედეგებს, ცდილობს კოლონიალური კომპლექსები სიყვარულით ჩაახშოს.

თვალები ვით შეელიოს ამ მიწასა და ამ მზეს,
მტერი რომ არ მოგვერიოს, ერთმანეთს ვუთხრათ „ვარზენ“
წმინდა გიორგი – „ვასტირჯი“ წმინდა იმედით გვავესებს,
დარჩა სულ ერთი ნაბიჯი შერიგებამდე...ვარზენ“!
(ვარზენ-მიყვარხარ, ვასტირჯი-წმინდა გიორგი ოსურ ენაზე)
(ხეთაგური, 2018, გვ. 18)

საინტერესოა, რომ ავტორი, ოსური ლექსიკით ცდილობს ჩატეხილი ხიდის აღდგენას, შესაბამისად, მის შემოქმედებაში, ოსი სულაც არ აღიქმება მტრის ხატად, პირიქით, ისიც ისეთივე მსხვერპლია, როგორც ქართველი.

საქართველოში განვითარებული ტრაგედია, პოსტკოლონიური სუბიექტების ჩაგვრაში გამოიხატა „დიდი თუ მცირე ომი, მიუხედავად ქრონოლოგიური და გეოგრაფიული მასშტაბებისა ყოველთვის უდიდეს ადამიანურ ტრაგედიას წარმოადგენდა, ტრაგედია, რომელსაც მოაქვს ტანჯვა წამება, უბედურება, სიკვდილი და, ამავდროულად, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ზოგჯერ პიროვნული ტრანსფორმაცია და სულიერი ამალღობა“ (ხორბალაძე, 2018 137). მზია ხეთაგური, მიუხედავად დიდი ტკივილისა, ისევ სიყვარულით ცდილობს საერთო ენის გამონახვას ოს თანამოქალაქეებთან, რომლებმაც კოლონიზატორის იდეური ინტერპრეტაციები ქმედებითა თუ სიტყვით გამოხატეს.

სულ თქვენით, ჩემო ოსებო,
თქვენითა მტკივა, რაც მტკივა
თქვენგან ვარ დანაოსები
მაგრამ მაგ ჯიშის რაკი ვარ...
მაგრამ რაკი ვარ ქართული
„იავნანურით“ გაზრდილი
და ჩემი სული ფრიალებს
ვით ოთხპირ ქარში მანდილი
ისევ, მე, ჩემო ოსებო,
თავში ქვა უნდა ვიხალო
დე, ულმობელად მოვისრა,
ოღონდ სიმართლემ იხაროს!
(ხეთაგური, 2018, გვ. 19)

ავტორის მიერ ნაციონალური იდენტობის ხაზგასმა თავმოყვარეობაშეუღალახელი სუბიექტის განცდასთან ასოცირდება, რომელსაც პოლიტიკური გავლენებისგან გათავისუფლებით უნდა საკუთარი ეთნოსის წარმომადგენლებისთვის სიყვარულისა და ამავდროულად, სიმართლის დამტკიცებაც. აღნიშნულ კონტექსტში საინტერესოა ზეინაზ მეტრეველის „საყდრის ჩიტები“.

„ჩვენი ბიჭებიც ბევრს სჩადიოდნენ და საკმაოდ მკაცრადაც, რადგან ომის წესებს არც ალანები ადგენდნენ და არც ქართველები, ეს ხომ იმთავითვე განსაზღვრული იყო, რომ ომში თუ სხვა არ მოკვდება, შენ ვერ იცოცხლებ, ამიტომაც ხელყოფ იმას, რაც შენ არ გეკუთვნის და რისი მეშვეობითაც სიცოცხლის დღეებს იხანგრძლივებ“ (მეტრეველი, 2004).

ოსების მტრობა სხვანაირ ელფერს ატარებს, ზეინაზ მეტრეველი იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლისთვისაც ძმობა, მეგობრობა, მეზობლობა მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მნიშვნელოვანია, ამიტომაც ათქმევინებს მესაფლავეს: „*მაინც შერჩათ რაღაც მშობლიური და შემწყნარებლური. თანაც ეს ნათესაური ჯაჭვი, რაც ჩვენ შორის ისტორიულად არსებობდა, ბოლომდე ვერ წყდება ვერასოდეს და ქვეყნის დასალიერს გადაკარგულ ორ რგოლს მაინც ერთმანეთისაკენ ეზიდება...*“ (მეტრეველი, 2004, გვ. 110).

საგულისხმოა, რომ მზია ხეთაგურის მსგავსად, ზეინაზ მეტრეველიც ოსს, მიუხედავად არსებული რეალობისა, მტრის ხატად არ მოიაზრებს.

საკვლევი საკითხის კონტექსტში საინტერესოა მწერალ გიორგი სოსიაშვილის ომის თემაზე დაწერილი მოთხრობები, რომლებიც, ერთი მხრივ, 2008 წლის აგვისტოს ომის რეფლექსია, ხოლო მეორე მხრივ, პოსტკოლონიური რეალობის ამსახველი მატეანე.

„გ. სოსიაშვილის აღნიშნულ მოთხრობებში ნაჩვენებია ოსურ-ქართული ურთიერთობების ცალკეული დადებითი მხარეებიც, კულტურული ურთიერთობების ნათელი პერიოდებიც და საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეული ადამიანების უკვე დარღვეული სოციალური ყოფის სურათები. 2008 წლის აგვისტოში საქართველოზე განხორციელებულმა რუსულმა აგრესიამ 1980-იან წლებში დაგუბებული ტრავმების რეტრავმატიზაცია მოახდინა. მართალია, აღნიშნული წიგნი აგვისტოს ომსა და მის შედეგებზეა, მაგრამ აქ ბუნებრივად იგულისხმება 1990-იანი წლების დასაწყისის საომარი მოქმედებებიც“ (სვანიძე, 2017, გვ. 202).

ომის ტრაგიკული სურათები – მავთულხლართები, უიმედო ადამიანების განცდები, დამწვარი სახლები, თავსმოხვეული მტრობაა ასახული მწერლის აღნიშნულ მოთხრობებში („ორნი“, „წართმეული ბავშვობა“, „აღსარება მტრის საფლავთან“, „მავთულხლართი“, „ჩვიდმეტნი“, „ბაღები“.....). „დავკარგეთ, სამშობლო დავკარგეთ, ყველაფერი დავკარგეთ, მე თვითომ აღარ ვიცი, ვინა ვართ და რა გვინდა, სად მივდივართ, რა გზა გვაქვს არჩეული“ (სოსიაშვილი, 2016, გვ. 281). აგრესორის მხრიდან მიზანმიმართული ძალადობა ნიჰილისტურ, გაუცნობიერებელ ემოციებს აღძრავს გიორგი სოსიაშვილის გმირებში, ყოველდღიურ ცხოვრებას, ომი, ნგრევა და იმედგაცრუება ცვლის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მწერალი ცდილობს ქართულ-ოსური ურთიერთობების ის დადებითი მხარეები შეახსენოს მკითხველს, საუკუნეების განმავლობაში რომ ყალიბდებოდა. ამიტომაც შექსპირისეული სიუჟეტით („მძახლები“) ცდილობს სიყვარულის ყოვლისშემძლეობით, მტერზე გამარჯვების, დეგრადირებული კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის ჩვენებას. ოსი გოგონასა და ქართველი ვაჟის სიყვარული მავთულხლართთან გაშლილი სუფრით გვირგვინდება, რაც ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუნებისა და მტრობის დასასრულის ალეგორიად უნდა მივიჩნიოთ. „ქართულ-ოსური ურთიერთობისა მწერალ გიორგი სოსიაშვილს სწამს, სჯერა და უალტერნატივოდ მიიჩნევს. ასეთი ურთიერთობების გარეშე, იმპერიის ბრმა იარაღად ყოფნის პირობებში, ქართველებსა და ოსებს ერთმანეთის მესაფლავებლად ხედავს მწერალი“ (ხორბალაძე, 2016).

გიორგი სოსიაშვილი ომის თემაზე შექმნილ მხატვრულ ტექსტებში დესტრუქციულ ძალას ყოველთვის უპირისპირებს სიყვარულის სხვადასხვა ინტერპრეტაციას, რაც აგრესორის ძალაუფლების შესანარჩუნებლად გამოყენებულ ყველა ქმედებას სხვა რაკურსით დანახვის საშუალებას აძლევს მკითხველს.

ვრცელი ანალიტიკური დისკურსით ცხადი ხდება, რომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში ახალი თემატური სივრცე იქმნება, რომელიც ცალსახსდ შეგვიძლია გავიაზროთ კოლექტიური ტრავმის მატეანედ. ოსურ ქართული-კონფლიქტის რეპრეზენტაცია აღნიშნულ სივრცეში განსაკუთრებულ ადგილს იმკვიდრებს. ოსი, ქართველი ავტორებისთვის მტრის ხატად არ აღიქმება, ისინი ცდილობენ მტრობას სიყვარული დაუპირისპირონ და საუკუნეებით ნასაზრდოები კონცეპტები წამოწიონ, საინტერესოა, რომ მსგავსი დინამიკა შეინიშნებოდა ოსურ ლიტერატურაშიც, აღნიშნულ კონტექსტში საინტერესოა ზინაიდა ბიტაროვას, აზა ხუდუაევას, ნიკოლაი რომანტიუკის, გიორგი სანაკოევის და ბევრი სხვა ავტორის შემოქმედების დასახელება, სადაც ავტორები ქართველების მიმართ სიყვარულს, სინანულს და ნოსტალგიურ დამოკიდებულებას გამოხატავენ, თუმცა, სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ოსურ ლიტერატურაში მკვეთრი ცვლილებები შეინიშნება და ქართველი ავტორებისგან განსხვავებით, ოსი ავტორები სიძულვილის, დაპირისპირების და აგრესიის ენას მიმართავენ, რაც წარმოდგენილი ტექსტებითაც დასტურდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გაფრინდაშვილი, ნ. (2015). ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგიური კვლევები საქართველოში. (კონფერენციის მასალები). თბილისი: თსუ.
- მეტრეველი, ზ. (2004). საყდრის ჩიტები. თბილისი: „სამშობლო“.
- მინდიაშვილი, ნ. (2020). ლიტერატურული წერილები. თბილისი: „უნივერსალი“.
- სვანიძე, ნ. (2017). პოსტკოლონიური პერიოდის ქართულ-რუსული ურთიერთობები. თბილისი: <http://eprints.iliauni.edu.ge/>
- სვანიძე, ნ. ა. (2017). პოსტკოლონიალური პერიოდის ქართულ რუსული ურთიერთობები ქართულ მხატვრულ და პუბლიცისტური პროზაში. თბილისი: „ილიაუნი“.
- სოსიაშვილი, გ. (2016). გამორთული მთვარე. თბილისი: „უნივერსალი“.
- ხეთაგური, მ. (2018). ალილუია. თბილისი: „სამშობლო“.
- ხორბალაძე, გ. (2016). წინასიტყვაობა „გამორთული მთვარე“. თბილისი: „უნივერსალი“.
- Anishchenkova, V. (2017). *“The Battle of Truth and Fiction: Documentary Storytelling and Contemporary Refugee Discourse”*. Paris: "Refugee Literature" Issue 6: Special Issue.
- Bhabha, H. (1994). *“DissemiNation: Time, Narrative and the Margins of the Modern Nation”*. London: The Location of Culture.
- Gallien, C. (2018). *“Refugee Literature”*. Psris: "Refugee Literature", Issue 6; Special issue.
- Said, E. (1994). *“Culture and Imperialism”*. New York: Vintage Books. Division of.

References:

- Anishchenkova, V. (2017). *“The Battle of Truth and Fiction: Documentary Storytelling and Contemporary Refugee Discourse”*. Paris: "Refugee Literature" Issue 6: Special Issue.
- Bhabha, H. (1994). *“DissemiNation: Time, Narrative and the Margins of the Modern Nation”*. London: The Location of Culture.
- Gallien, C. (2018). *“Refugee Literature”*. Psris: "Refugee Literature", Issue 6; Special issue.
- Gaprindashvili, N. (2015). Lit'erat'uratmtsodneobiti imagologiuri k'vlebebi sakartveloshi (k'onperentsiis masalebi). [Literary Studies Imagological Studies in Georgia. (Conference Proceedings)]. Tbilisi: tsu.
- Khetaguri, M. (2018). Aliluaia. [Alleluia]. Tbilisi: „samshoblo“.
- Khorbaladze, G. (2016). Ts'inasi't'q'vaoba „gamortuli mtvare“. [Foreword to "The Moon Turned Off"]. Tbilisi: „universali“.
- Met'reveli, Z. (2004). Saq'dris chit'ebi. [The Birds of the Throne]. Tbilisi: „samshoblo“.
- Mindiashvili, N. (2020). Lit'erat'uruli ts'erilebi. [Literary Letters]. Tbilisi: „universali“.
- Said, E. (1994). *“Culture and Imperialism”*. New York: Vintage Books. Division of.
- Svanidze, N. (2017). P'ost'koloniuri p'erioidis kartul-rusuli urtiertobebi. [Georgian-Russian Relations of the Postcolonial Period]. Tbilisi: <http://eprints.iliauni.edu.ge/>
- Svanidze, N. A. (2017). P'ost'kolonialuri p'erioidis kartul rusuli urtiertobebi kartul mkhat'vrul da p'ublistsit'uri p'rozashi. [Georgian-Russian Relations of the Postcolonial Period in Georgian Fiction and Journalistic Prose.]. Tbilisi: „Iliauni“.
- Sosiashvili, G. (2016). Gamortuli mtvare. [The Moon Turned Off]. Tbilisi: „universali“.